



10.01.2014

კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არ შეუშვებს

შეუერთდი განხილვას



კომპანია RMG Gold-ის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არ შეუშვებს.

დღეს, RMG Gold-ის დაცვის სამსახურმა საქართველოს კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, არქეოლოგი და ისტორიკოსი იულონ გაგომიძე, ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ , „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები და ჟურნალისტები კარიერის ტერიტორიაზე მათი მოთხოვნის მიუხედავად, არ შეუშვებს.

საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, სამინისტრომ, RMG Gold-ის ხელმძღვანელობას გუშინ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში საყდრისის – ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ობიექტის ფოტო მონიტორინგის ჩატარების მოთხოვნით წერილობით მიმართა. დღეს კი, სამინისტროს წარმომადგენლებს დაცვის სამსახური ტერიტორიაზე არ უშვებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით RMG Gold-ს გაფრთხილება მისცა.

სააგენტო კომპანიას მოუწოდა, სამინისტროს შესაბამისი დასკვნის მიღებამდე მიწის სამუშაოები დაუყოვნებლივ შეაჩეროს.

AMA ამასთან, კომპანია RMG აცხადებს, რომ კომპანია წიაღით სარგებლობის ლიცენზიით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საყდრისის სალიცენზიო

ტერიტორიაზე მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს.



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)



Anuki Zhvania · Works at Georgian National Museum

Sruli ganukitxaobaa am qveyanashi!!!

[Reply](#) · [Like](#) · [Follow Post](#) · January 10 at 7:57pm

Facebook social plugin

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სამხრეთ კავკასიის ხმები

